



1990 წლიდან 2016 წლამდე

პოლიტიკური ქაღალდის წარმოქმნის დრო
საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო

სარჩევი

საკანონმდებლო ორგანოში პარლამენტის წევრთა რაოდენობა და საარჩევნო ბარიერი	4
პოლიტიკოსები, რომლების ყველაზე ხშირად იყვნენ პარლამენტის წევრები	6
პირველი მოწვევის პარლამენტი (1990 - 1991 წლები)	8
მეორე მოწვევის პარლამენტი (1992 - 1995 წლები)	9
მესამე მოწვევის პარლამენტი (1995-1999 წლები)	11
მეოთხე მოწვევის პარლამენტი (1999-2004 წლები)	12
მეხუთე და მეთექვსე მოწვევის პარლამენტი (2003 წლისა და 2004 წლის საპარლამენტო არჩევნები)	13
მეშვიდე მოწვევის პარლამენტი (2008-2012 წლები)	15
მერვე მოწვევის პარლამენტი (2012-2016 წლები)	16
მეცხრე მოწვევის პარლამენტი	17

1990 წლიდან 2016 წლამდე პოლიტიკური ძალების წარმომადგენლობა საქართველოს საკანონმდებლო ორგანოში

1990 წლიდან საქართველოში ცხრაჯერ ჩატარდა საპარლამენტო არჩევნები. 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგად საქართველოს მოსახლეობამ მეცხრე მოწვევის პარლამენტი აირჩია.

მეცხრე მოწვევის პარლამენტის არჩევნების შემდგომ განსაკუთრებით აქტუალური გახდა საკითხი, თუ რამდენად გამართლებულია ერთი პოლიტიკური პარტიის საკონსტიტუციო უმრავლესობით წარმომადგენლობა საკანონმდებლო ორგანოში და პირიქით, პოლიტიკური ძალების მრავალფეროვნებამ რა დადებითი შედეგი შეიძლება მოიტანოს ქვეყნისათვის.

საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად, პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს საარჩევნო სუბიექტს, რომელიც წარმოადგენს რეგისტრირებული პარტიას, საარჩევნო ბლოკს, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფს ან პარლამენტის მაჟორიტარი წევრობის დამოუკიდებელ კანდიდატს.

“საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო” დაინტერესდა 1990 წლიდან 2016 წლამდე პოლიტიკური ძალების წარმომადგენლობით საკანონმდებლო ორგანოში, ასევე არჩეულ წევრთა რაოდენობით და კანონმდებლობით გათვალისწინებული საარჩევნო ბარიერით.

- **ყველაზე მეტი პოლიტიკური სუბიექტი** მეორე მოწვევის პარლამენტში იყო წარმოდგენილი (1992 - 1995 წლები), როდესაც საარჩევნო ბარიერი 24-მა პარტიამ გადალახა.
- დეპუტატების რაოდენობის მხრივ **ყველაზე მრავალრიცხოვანი** იყო უზენაესი საბჭო 247 წევრის შემადგენლობით.
- **საარჩევნო ბარიერის** ყველაზე დაბალ ზღვარს წარმოადგენდა 2 %, ყველაზე მაღალს - 7 %.
- **მხოლოდ ორი საარჩევნო სუბიექტი** იყო წარმოდგენილი მერვე მოწვევის პარლამენტში (2012-2016 წლები), თუმცა ბლოკი ქართული ოცნება ექვს პარტიას აერთიანებდა.
- 1990 წლიდან მერვე მოწვევის პარლამენტის ჩათვლით საკანონმდებლო ორგანოს ჰყავდა **1216 წევრი**.
- **ყველაზე მეტი მოწვევის პარლამენტის წევრები იყვნენ:** აკაკი ბობოხიძე (6 მოწვევის პარლამენტის წევრი) და გიორგი ბარამიძე (5 მოწვევის პარლამენტის წევრი)

საკანონმდებლო ორგანოში პარლამენტის წევრთა რაოდენობა და საარჩევნო ბარიერი

პარლამენტში არჩეული წევრების რაოდენობა და „საარჩევნო ბარიერი“ კანონმდებლობის შესაბამისად იცვლებოდა დროთა განმავლობაში.

საქართველოს კონსტიტუციის 49-ე მუხლის თანახმად, საქართველოს პარლამენტი შედგება საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით, 4 წლის ვადით, პროპორციული სისტემით არჩეული **77** და მაჟორიტარული სისტემით არჩეული **73** პარლამენტის წევრისაგან. [საარჩევნო კოდექსის](#) თანახმად, საარჩევნო ბარიერად განსაზღვრულია 5%.

დამოუკიდებელი საქართველოს პირველი საკანონმდებლო ორგანოს, უზენაესი საბჭოს არჩევნებს არეგულირებდა 1990 წლის 18 აგვისტოს მიღებული საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კანონი „საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ“, რომლის თანახმად, უზენაესი საბჭო შედგებოდა 150 პროპორციული და 85 მაჟორიტარული წესით არჩეული წევრისაგან. საარჩევნო ბარიერი განისაზღვრებოდა 4%-ით.

მეორე მოწვევის პარლამენტის (1992-1995 წლები) წევრთა რაოდენობა “საქართველოს პარლამენტის არჩევნების დებულებით” განსაზღვრული იყო 235 წევრით (150 წევრი პროპორციული, ხოლო 85 მაჟორიტარული სისტემით არჩეული). საარჩევნო ბარიერი წარმოადგენდა 2%-ს.

1995 წელს მიღებული კონსტიტუციით პარლამენტის წევრთა რაოდენობა ასევე 235 წევრით განისაზღვრა (პროპორციული სისტემით არჩეული 150 და მაჟორიტარული სისტემით არჩეული 85 წევრი). 1997 წლის ორგანული კანონით^[1] [საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ](#) საარჩევნო ბარიერი განისაზღვრა 5%-ით. კანონში ცვლილება შევიდა 1999 წლის 20 ივლისს და საარჩევნო ბარიერი 7 %-მდე გაიზარდა.

2001 წელს მიღებული [საარჩევნო კოდექსის](#) თანახმად საქართველოს პარლამენტის წევრთა მანდატები მიეკუთვნებოდა მხოლოდ იმ პარტიულ სიას, რომელმაც მიიღო არჩევნებში მონაწილეთა ხმების არანაკლებ 7%-ისა. საარჩევნო კოდექსში 2008 წლის 21 მარტის ცვლილებით შემდეგ კი საარჩევნო ბარიერი განისაზღვრა 5%-ით.

2005 წლის 23 თებერვალს ცვლილება შევიდა საქართველოს კონსტიტუციაში, რომლის თანახმად პარლამენტის შემადგენლობა განისაზღვრა პროპორციული სისტემით არჩეული **100** და მაჟორიტარული სისტემით არჩეული **50** წევრით. ცვლილებებს საფუძვლად დაედო 2003 წელს ჩატარებული რეფერენდუმი, რომლის შედეგებით 235-დან 150-მდე შემცირდა საკანონმდებლო ორგანოს წევრთა რაოდენობა.


2008 წელს საქართველოს კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებით განისაზღვრა, რომ პარლამენტი შედგება პროპორციული სისტემით არჩეული 75 და მაჟორიტარული სისტემით არჩეული 75 პარლამენტის წევრისაგან.“ საქართველოს კონსტიტუციაში 2011 წელს შეტანილი ცვლილებებით პროპორციული სისტემით არჩეული წევრების რაოდენობა 77 ხოლო მაჟორიტარული სისტემით არჩეულის 73-ით განისაზღვრა.

¹ (ძალადაკარგულია) (საქართველოს 1997 წლის 17 ოქტომბრის ორგანული კანონი №965-პარლამენტის უწყებანი, №44, 11.11.1997წ.)


2011 მიიღეს ახალი საარჩევნო კოდექსი, რომლის თანახმად საარჩევნო ბარიერი კვლავ განსაზღვრულია არანაკლებ 5 %-ით.

აღსანიშნავია, რომ 1992 წლიდან 2004 წლამდე პარლამენტის შემადგენლობაში იყვნენ 1992 წელს აფხაზეთის ტერიტორიაზე მაჟორიტარული წესით არჩეული დეპუტატები. 1995 წლის კანონით “საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ” “აფხაზეთში საქართველოს პარლამენტის წევრთა არჩევნებისათვის აუცილებელი პირობების შექმნამდე პარლამენტის შემადგენლობაში რჩებოდნენ აფხაზეთში ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებში არჩეული საქართველოს პარლამენტის წევრები. ასეთი წესით აფხაზეთის დეპუტაცია 3 მოწვევის პარლამენტში ინარჩუნებდა უფლებამოსილებას. აღნიშნული წესი 2004 წლია 16 სექტემბერს “საარჩევნო კოდექსში” ცვლილებების შეტანის შემდეგ შევიდა.

დიაგრამა 1. საარჩევნო ბარიერის ცვლილება ცხრა მოწვევის პარლამენტში



დიაგრამა 2. პარლამენტის შემადგენლობის რაოდენობათა ცვლილება ცხრა მოწვევის პარლამენტში



პოლიტიკოსები, რომლებიც ყველაზე ხშირად იყვნენ პარლამენტის წევრები

1990 წლიდან 2016 წლამდე საქართველოს მოსახლეობამ 1216 პარლამენტის წევრი აირჩა, მათგან უმეტესობა ორჯერ და მეტჯერ, მაგ.: აკაკი ბობოხიძე 6-ჯერ; გიორგი ბარამიძე 5-ჯერ; გუბაზ სანიკიძე, ასლან აბაშიძე, გოდერძი ბუკია, კობა დავითაშვილი, გოგი ლიპარტელიანი, ფაცაცია გერმანე, შაიშმელაშვილი გიორგი და ელდარ შენგელია 4-ჯერ. (ყველა მოწვევის პარლამენტის წევრების შესახებ ინფორმაცია, მათ შორის რამდენი მოწვევის პარლამენტის წევრია თითოეული დეპუტატი იხილეთ [ცხრილში](#)).

დიაგრამა 3. პოლიტიკოსები, რომელიც ყველაზე ხშირად იყვნენ პარლამენტის წევრები (1990 - 2016 წლების მანძილზე)



საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო დაინტერესდა რომელ პოლიტიკურ ძალას წარმოადგენდნენ ზემოხსენებული პარლამენტის წევრები მათ მიერ საპარლამენტო მანდატების მოპოვებისას.

აკაკი ბობოხიძე: სხვადასხვა პერიოდში პარლამენტში წარმოადგენდა საქართველოს რესპუბლიკურ პარტიას, საარჩევნო ბლოკს “საკაკაშვილი-ნაციონალური მოძრაობა”, “ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – გამარჯვებული საქართველოსთვის”, და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - მეტი სარგებელი ხალხს“. ასევე იყო ხობისა და წყალტუბოს მაჟორიტარი პარლამენტის წევრი.

გიორგი ბარამიძე: სხვადასხვა პერიოდში წარმოადგენდა მწვანეების პარტიას, საქართველოს მოქალაქეთა კავშირს (სმკ), საარჩევნო ბლოკს “ბურჯანაძე - დემოკრატები”, ერთიანი ნაციონალური მოძრაობას - „მეტი სარგებელი ხალხს“. ასევე იყო დიდუბის მაჟორიტარი დეპუტატი.

სანიკიძე გუბაზი: პარლამენტში წარმოადგენდა საარჩევნო ბლოკს “საქართველოს აღორძინება”, გაერთიანებულ ოპოზიციას (ეროვნული საბჭო, მემარჯვენეები), საარჩევნო ბლოკს “ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნება” (პარტია ეროვნული ფორუმი, 2016 წელს დატოვა საპარლამენტო უმრავლესობა). ასევე იყო ამბროლაურის და ქუთაისის მაჟორიტარი დეპუტატი.

აბაშიძე ასლან: სხვადასხვა პერიოდში პარლამენტში წარმოადგენდა საარჩევნო ბლოკს “მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო”, ბლოკს „მშვიდობა“, სრულიად საქართველოს აღორძინების კავშირს და საარჩევნო ბლოკს “საქართველოს აღორძინება”.

ბუკია გოდერძი: პარლამენტში წარმომადგენდა ბლოკს “ახალი საქართველოსთვის”, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – გამარჯვებული საქართველოსთვის” (2015 წელს დატოვა საპარლამენტო უმცირესობა და გაერთიანდა საპარლამენტო უმრავლესობაში). ორჯერ იყო ხობის მაჟორიტარი.

დავითაშვილი კობა: სხვადასხვა პერიოდში პარლამენტში წარმომადგენდა საარჩევნო ბლოკს საქართველოს მოქალაქეთა კავშირი (სმკ), საარჩევნო ბლოკს “სააკაშვილი-ნაციონალური მოძრაობა”, გაერთიანებული ოპოზიცია (ეროვნული საბჭო, მემარჯვენეები), საარჩევნო ბლოკს „ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნება” (2013 წელს დატოვა საპარლამენტო უმრავლესობა და გახდა დამოუკიდებელი დეპუტატი). ასევე იყო გლდანის მაჟორიტარი დეპუტატი.

ლიპარტელიანი გოგი: სხვადასხვა პერიოდში პარლამენტში წარმომადგენდა საარჩევნო ბლოკს: “ახალი საქართველოსთვის”, “ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – გამარჯვებული საქართველოსთვის”, “ერთიანი ნაციონალური მოძრაობა-მეტი სარგებელი ხალხს” (2012 წელს დატოვა საპარლამენტო უმცირესობა). ასევე ორჯერ იყო ლენტეხის მაჟორიტარი დეპუტატი და კრწანისის მაჟორიტარი.

ფაცაცია გერმანე: პარლამენტში წარმომადგენდა პირველი მოწვევის პარლამენტში წარმომადგენდა საქართველოს ერთიან კომუნისტურ პარტიას, ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირს. აგრეთვე იყო აფხაზეთის მაჟორიტარი დეპუტატი.

შიშხელაშვილი გიორგი: სხვადასხვა პერიოდში პარლამენტში წარმომადგენდა საარჩევნო ბლოკს “მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო”, ბლოკს “ერთობა”, ბლოკს, საქართველოს მოქალაქეთა კავშირი (სმკ).

შენგელაია ელდარ: ოთხივე შემთხვევაში წარმომადგენდა საქართველოს მოქალაქეთა კავშირს (სმკ) როგორც მაჟორიტარი, ისე პარტიული სიით.

პირველი მოწვევის პარლამენტი: (1990 - 1991)

1990 წლის 18 აგვისტოს საქართველოს სსრ-ის უმაღლესმა საბჭომ მიიღო ახალი საარჩევნო კოდექსი, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კანონი „საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ“, რომელიც არასაბჭოური და მრავალპარტიული არჩევნების ჩატარებას ითვალისწინებდა.


არჩევნები 1990 წლის 28 ოქტომბერს დაინიშნა. ეროვნული ძალების ზეწოლით მას ეწოდა „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს“ არჩევნები, ნაცვლად „საქართველოს სსრ-ის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისა“. არჩევნები შერეული, სიმეტრიული საარჩევნო სისტემით ჩატარდა. პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე აირჩა 125 დეპუტატი, ხოლო მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქების მიხედვით – ასევე 125 დეპუტატი. არჩევნები ვერ შედგა გუდაუთაში, ტყავრჩელსა და ცხინვალში, შესაბამისად საბოლოო სახით გამარჯვებული სუბიექტების მანდატები შეადგენდა 247-ს.

1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებში 14 პოლიტიკური პარტია მონაწილეობდა.^[2] ბარიერი იყო 4%. უზენაეს საბჭოში წარმოდგენილი იყო 6 პარტია.

- „მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველო“ (155 დეპუტატი)
- კომუნისტური პარტია (73 დეპუტატი)
- სახალხო ფრონტი (13 დეპუტატი)
- „დემოკრატიული საქართველო“ (4 დეპუტატი)
- რუსთაველის საზოგადოება (1 დეპუტატი)
- განათ. და ეკ. აღორძინება (1 დეპუტატი)

არჩევნების შედეგად ხელისუფლებაში მოვიდა „მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო“.^[3]

დიაგრამა 4. პირველი მოწვევის პარლამენტის სრული შემადგენლობა



მეორე მოწვევის პარლამენტი (1992 - 1995 წლები)

1992 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგად პროპორციული სისტემით (მრავალმანდატიანი ოლქები) არჩულ იქნა 150 დეპუტატი. მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე აირჩიეს პარლამენტის 75 წევრი. მაჟორიტარული სისტემით არჩევნები ჩატარდა 84 მაჟორიტარული ოლქიდან 75-ში.^[4] არჩევნები ვერ ჩატარდა შემდეგ საარჩევნო ოლქებში: ჭავჭავაძის, ცხინვალი, ზუგდიდი, წალენჯიხა, ჩხოროწყუ, გაგრა, გალი, გუდაუთა და ტყვარჩელი, საარჩევნო ბარიერი 2%. გადალახა 24-მა პარტიამ.

² <http://electionreforms.ge/files/library/415.pdf>

³ საქართველოს პარლამენტი, 1990 წლის 28 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები, <https://goo.gl/0fIM6I>

⁴ საქართველოს პარლამენტი, 1992 წლის საპარლამენტო არჩევნები <https://goo.gl/c6ym0O>

დიაგრამა 5. მეორე მოწვევის პარლამენტის შემადგენლობა

1992-1995 წლებში პარლამენტის შემადგენლობა




მესამე მოწვევის პარლამენტი (1995-1999 წლები)

საქართველოს კონსტიტუციის მიღების შემდეგ 1995 წელს ერთად ჩატარდა საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები. საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება ჰქონდა იმ პარტიასა და პოლიტიკურ გაერთიანებას, რომელიც წარმოადგენდა 50 ათასი მხარდამჭერის ხელმოწერას, ან რომელსაც ჰყავდა წარმომადგენელი საქართველოს პარლამენტში. 235 მანდატიდან 150 მანდატი მიღებული ხმების პროპორციულად განაწილდა იმ პარტიებზე, რომლებმაც მიიღეს ამომრჩეველთა ხმების 5%-ზე მეტი. 85 მანდატი გადანაწილდა მაჟორიტარ დეპუტატებზე. რადგან აფხაზეთში კვლავ ვერ მოხერხდა არჩევნების ჩატარება, 12 დეპუტატს გაუგრძელდა უფლებამოსილების ვადა. 73 დეპუტატი კი აირჩა დანარჩენი მაჟორიტარული ოლქებიდან. არჩევნებში მონაწილეობას იღებდა 53 პოლიტიკური პარტია.^[5] ამათგან პროპორციული სისტემით 5 პროცენტისანი ბარიერი გადალახა სამმა პარტიამ:

- საქართველოს მოქალაქეთა კავშირი - 90 მანდატი
- ეროვნულ-დემოკრატიული პარტია - 31 მანდატი
- საქართველოს აღორძინების კავშირი - 25 მანდატი

დიაგრამა 6. მესამე მოწვევის პარლამენტის შემადგენლობა (პროცენტული გადანაწილება და მანდატების რაოდენობა)



⁵ საქართველოს პარლამენტი, 1995 წლის საპარლამენტო არჩევნები, <https://goo.gl/0q3grV>

პარლამენტში შეიქმნა 9 ფრაქცია და 14 კომიტეტი.

ფრაქციები:

- „მოქალაქეთა კავშირი“ (თავმჯდომარე მიხეილ სააკაშვილი)
- „აღორძინება“ (თავმჯდომარე ჯემალ გოგიტიძე)
- „სახალხო“ (თავმჯდომარე მამუკა გიორგაძე)
- „ლეიბორისტი“ (თავმჯდომარე შალვა ნათელაშვილი)
- „ედუ“ (თავმჯდომარე ირინა სარიშვილი-ჭანტურია)
- „იმედი“ (თავმჯდომარე პეტრე ბერაია)
- „მაჟორიტარი-სოციალისტი“ (თავმჯდომარე იური ჩიხრაძე)
- „მამული“ (თავმჯდომარე ვახტანგ შამილაძე)
- „აფხაზეთი“ (თავმჯდომარე გერმანე ფაცაცია)

შეიქმნა საპარლამენტო უმრავლესობა, რომელშიც გაერთიანდა ფრაქცია „მოქალაქეთა კავშირი“, ფრაქცია „იმედი“ და ფრაქცია „მამული“. საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი გახდა ლანა ლოლობერიძე. ასევე შეიქმნა კოალიცია „ერთიანი საქართველო“. მასში გაერთიანდა ფრაქცია „აღორძინება“ და ფრაქცია „ლეიბორისტი“. კოალიციის თავმჯდომარედ აირჩიეს შალვა ნათელაშვილი.

მეოთხე მოწვევის პარლამენტი (1999-2004 წლები)

პარლამენტის წევრთა შემადგენლობა განსაზღვრული იყო **235** წევრით. 150 აირჩიოდა პროპორციული, 85 კი მაჟორიტარული წესით. არჩევნებში მონაწილეობდა 45 პარტია. პროპორციული სისტემით **7%**-იანი ბარიერი გადალახა სამმა პარტიამ:

- 1. საქართველოს მოქალაქეთა კავშირი 42.07% 894 850 ხმა (85 მანდატი)**
- 2. ბლოკი „საქართველოს აღორძინება“ 25.41% 540 389 ხმა (51 მანდატი)**
- 3. ბლოკი „მრეწველობა გადაარჩინს საქართველოს“ 7.13% 151 685 ხმა (14 მანდატი)**


თავდაპირველად პარლამენტში შეიქმნა 10 ფრაქცია, თუმცა შემდგომ, ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური ცვლილებების გამო, პარლამენტში ვითარება შეცვალა. 2001 წლის ოქტომბერში ზურაბ ჟვანია გადადგა პარლამენტის თავმჯდომარის თანამდებობიდან. 2002 წლის ივლისში თანამოაზრეებთან ერთად ჩამოაყალიბა პარტია „გაერთიანებული დემოკრატები“ და შესაბამისი ფრაქციაც შეიქმნა პარლამენტში.

2003 წლის 2 ნოემბერს ჩატარებული არჩევნები „ვარდების რევოლუციის“ შედეგად გაბათილდა და 1999 წლის მეოთხე მოწვევის პარლამენტს უფლებამოსილების ვადა გაუგრძელდა 2004 წლამდე.

პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლად დაინიშნა ნინო ბურჯანაძე. ზურაბ ჟვანია დაინიშნა სახელმწიფო მინისტრად, ხოლო პარლამენტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად - გიორგი წერეთელი.^[6]

⁶ საქართველოს პარლამენტი, 1999 წლის პარლამენტის არჩევნები <https://goo.gl/WTwV98>

დიაგრამა 7. მეოთხე მოწვევის პარლამენტის შემადგენლობა (პროცენტული გადანაწილება და მანდატების რაოდენობა)



მეხუთე და მეექვსე მოწვევის პარლამენტი (2003 წლისა და 2004 წლის საპარლამენტო არჩევნები)

2003 წლის 2 ნოემბერს ჩატარდა საპარლამენტო არჩევნები. მასში მონაწილეობას იღებდა ყველა ის პარტია ან პოლიტიკური გაერთიანება, რომელსაც ჰყავდა წარმომადგენელი პარლამენტში, ან რომელიც წარმოადგენდა 50 ათასი მხარდამჭერის ხელმოწერას. არჩევნების შედეგები მოსახლეობის დიდმა ნაწილმა გაყალბებულად ჩათვალა, რის გამოც გაიმართა საპროტესტო გამოსვლები და საქართველოში მოხდა ე.წ. „გარდების რევოლუცია“. არჩევნების შედეგები გაუქმდა, გარდა მაჟორიტარული წესით ჩატარებულისა და დაინიშნა ხელახალი არჩევნები 2004 წლის 28 მარტს.^[7]

მაჟორიტარული წესით აირჩა 85 მაჟორიტარი დეპუტატი საქართველოს ადმინისტრაციული ერთეულებიდან. მათგან 12 მაჟორიტარ დეპუტატს ავტომატურად მიენიჭა უფლებამოსილება, როგორც აფხაზეთის რაიონების მაჟორიტარ დეპუტატებს, ხოლო დანარჩენ 73 მაჟორიტარულ ოლქში არჩევნები ჩატარდა ჩვეულებისამებრ. (2004 წლის აგვისტოში, პარლამენტის პლენარულ სხდომაზე აფხაზეთის დეპუტაციას უფლებამოსილება შეუწყდა).

⁷ საქართველოს პარლამენტი 2003 - 2004 წლის საპარლამენტო არჩევნები <https://goo.gl/GaaAK0>

მაჟორიტარული მანდატები გადანაწილდა შემდეგნაირად :


- დემოკრატიული აღორძინების კავშირი - 6
- ლეიბორისტული პარტია - 3
- ბლოკი „ბურჯანაძე-დემოკრატები“ - 7
- ბლოკი „სააკაშვილი - ნაციონალური მოძრაობა“ - 10
- ბლოკი „ახალი საქართველოსთვის“ - 19
- ბლოკი „ახალი მემარჯვენეები“ - 4
- ბლოკი „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ - 4
- დამოუკიდებელი კანდიდატები (წარდგენილი საინიციატივო ჯგუფების მიერ) - 20

2004 წლის 28 მარტს ჩატარდა ხელახალი საპარლამენტო არჩევნები. არჩევნები ჩატარდა პროპორციული საარჩევნო სისტემით. არჩევნებში 7%-იანი ბარიერი გადალახა ახლად შექმნილმა ბლოკმა „ნაციონალური მოძრაობა - დემოკრატები“ (66,24% - 135 მანდატი) და მემარჯვენე ოპოზიციამ - მრეწველები, ახლები (7,56% - 15 მანდატი).

პარლამენტში შეიქმნა 4 ფრაქცია:

- „ნაციონალური მოძრაობა - დემოკრატები“
- „მაჟორიტარები“
- „დამოუკიდებელი მაჟორიტარები“
- „მემარჯვენე ოპოზიცია“
- ასევე შეიქმნა დამოუკიდებელ პარლამენტის წევრთა საკოორდინაციო საბჭო.

დიაგრამა 8. მეექვსე მონვევის პარლამენტის შემადგენლობა (პროცენტული გადანაწილება და მანდატების რაოდენობა)



მეშვიდე მონვევის პარლამენტი (2008-2012 წლები)

2012 წელს არჩევნებში მონაწილეობდა 12 სუბიექტი და 5%-იანი ბარიერი გადალახა ოთხმა პარტიამ:

1. ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - 59.18% - 1 050 237 ხმა (48 მანდატი)
2. გაერთიანებული ოპოზიცია - 17.73% - 314 668 ხმა (15 მანდატი)
3. გიორგი თარგამაძე - ქრისტიან დემოკრატები - 8.66% - 153 634 ხმა (6 მანდატი)
4. შალვა ნათელაშვილი - საქართველოს ლეიბორისტული პარტია - 7.44% - 132 092 ხმა (6 მანდატი)


ჩატარებული არჩევნების მიმართ უნდობლობის გამო, არჩევნებში გამარჯვებულმა გაერთიანებული ოპოზიციის ნაწილმა, საპარლამენტო მანდატზე უარი თქვეს და არ შევიდნენ პარლამენტში. (ლეიბორისტული პარტიის წარმომადგენლებმა, რომლებმაც მოიპოვეს საპარლამენტო მანდატი, მასზე უარი არ თქვეს. თუმცა, პოლიტიკური მოტივით 4 წლის განმავლობაში, არცერთ პლენარულ სხდომას არ დასწრებიან).^[8]

პარლამენტში შეიქმნა 5 ფრაქცია:

- ფრაქცია: „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ – 98 წევრი
- ფრაქცია „საქართველოს რეგიონები – მაჟორიტარები“ – 14 წევრი
- ფრაქცია: „ქრისტიან – დემოკრატები“ – 7 წევრი
- ფრაქცია: „ძლიერი საქართველო“ – 6 წევრი
- ფრაქცია: „ერთობა სამართლიანობისათვის“ – 7 წევრი

ფრაქციის გარეშე დარჩა პარლამენტის 5 წევრი

დიაგრამა 9. მეშვიდე მონვევის პარლამენტის შემადგენლობა (პროცენტული გადანაწილება და მანდატების რაოდენობა)




⁸ საქართველოს პარლამენტი, 2008 წლის საპარლამენტო არჩევნები <https://goo.gl/otPGwb>

მერვე მოწვევის პარლამენტი (2012-2016 წლები)

2012 წელს ჩატარებული მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად პარლამენტის 150 წევრიდან 73 აირჩა მაჟორიტარული წესით ერთმანდატიან ოლქებში, ხოლო დანარჩენი 77 მანდატი გადანაწილდა პროპორციული წესით იმ საარჩევნო სუბიექტების პარტიულ სიებს შორის, რომლებმაც 5%-იან ბარიერი გადალახეს. 5%-იანი ბარიერი გადალახა 2 საარჩევნო სუბიექტმა - “ბიძინა ივანიშვილი – ქართული ოცნება” და “ერთიანი ნაციონალური მოძრაობა-მეტი სარგებელი ხალხს”.

მერვე მოწვევის პარლამენტში საარჩევნო სუბიექტი „ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნება“ აერთიანებდა ექვს პოლიტიკურ გაერთიანებას: „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“, საქართველოს კონსერვატიული პარტია, „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“, „საქართველოს რესპუბლიკური პარტია“, „ჩვენი საქართველო- თავისუფალი დემოკრატები“ და „ეროვნული ფორუმი“.

დიაგრამა 10. მერვე მოწვევის პარლამენტის შემადგენლობა (პროცენტული გადანაწილება და მანდატების რაოდენობა)^{9]}



^{9]} საქართველოს პარლამენტი, მერვე მოწვევის პარლამენტის შემადგენლობა, <https://goo.gl/B0dTQO> საქართველოს საარჩევნო კომისია, 2012 წლის არჩევნები <https://goo.gl/wZiokf>

მეცხრე მოწვევის პარლამენტი

მეცხრე მოწვევის პარლამენტის არჩევნები ჩატარდა 2016 წლის 8 ოქტომბერს, მეორე ტური გაიმართა 30 ოქტომბერს. კონსტიტუციის შესაბამისად, საქართველოს მოქალაქეებმა აირჩიეს პარლამენტის 150 წევრი 4 წლის ვადით: პროპორციული სისტემით 77 და მაჟორიტარული სისტემით 73 წევრი. საარჩევნო ბარიერი იყო 5%. 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში 25 სუბიექტი მონაწილეობდა. საარჩევნო ბარიერი მხოლოდ სამმა სუბიექტმა გადალახა: “ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო”, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, დავით თარხან მოურავი ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, გაერთიანებული ოპოზიცია.

წინასწარი შედეგებით მეცხრე მოწვევის პარლამენტში მანდატები ასე გადანაწილდება:

- “ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო” - 115
- ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - 27
- დავით თარხან მოურავი ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, გაერთიანებული ოპოზიცია - 6
- დამოუკიდებელი დეპუტატი - 1 (სალომე ზურაბიშვილი)
- თოფაძე, მრენველები - ჩვენი სამშობლო - 1 (სიმონ ნოზაძე)

2016 წლის საპარლამენტო არჩევნების წინასწარი შედეგების თანახმად, მეცხრე მოწვევის პარლამენტში მანდატები გადანაწილდება შემდეგი სახით:

დიაგრამა 11. 2016 წლის არჩევნების შედეგები

